წ. I 1915 წ. შაბათი 11 აპრილი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 54 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 54

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

---

12 აპრილს სოფ. ახალ-ჭალის თ. გელოვანების საგვარეულო ეკლესია-ში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სახელ-მწიფო სათათბიროს წევრის

### თ-დ ვარლამ ლევანის ძის გელოვანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფალნი: მეუღლე ნინო გიორგის ასუ-ლი, ძმები კონსტანტინე და პლატონი და ბიძა ერმალო გოჯასპირის ძე გელოვანები.

2—2

---

8 აპრილს სოფ. ზოვრეთში (შორაპ. მაზრ.) მძიმე და ხანგრძლივი ავათ-მყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **პოლკოვნიკი**

### ივანე ქაიხოსროს ძე ქავთარაძე,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვი-ლები მიცვალებულისა: პავლე, პეტრე, სერგია, მარიამი, ნატალია, ელისაბედი, რძლები: ემილია ვლადიმერის ასული ანნა ილარიონის ასუ-ლი ქავთარაძეები. და სიძე თავადი იასონ ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე თა-ვისი ასულით სოფიოთი. დასაფლავება კვირას, 12 აპრილს, განსაკუთ-რებითი დაპატიჟება არ იქნება.

3—2—157.

---

კვირას, 12 აპრილს, საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

### ბუკან ალექსის ძის ასათიანის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრი-ვი მეუღლე ოლღა (იგივე ხაჭუ) ასათიანისა შვილებითურთ და ძმა ერმალო ალექსის ძე ასათიანი.

პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე. 1—1—158

---

შვილები: ილია და გიორგი დიმიტრის ძენი; ქალიშვილები: ოლღა, მარო და ფოია დიმიტრის ასულნი შენგელიები, სიძე არტემ დიმიტ-რის ძე რუხაძე და რძლები: ელისაბედი და ლიუბა გულითადის მწუ-ხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავებს ძვირფასი დედის

### სასია დავითის ასულის შენგელიას

გარდაცვალებას, რომლის ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია კვირას, 12 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე დ. სამტრე-დიაში, საკუთარ სახლში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე.

1—1—159.

---

ორჯერ ზედიზედ ახალი პიესა.

**ქუთაისის თეატრი**

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, შაბათს, 11 და კვირას, 12 აპრილს, წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი პიესა სობოლჩიკოვ-სამარინისა

## იუდა ისკარიოტელი

(იუდას მემკვიდრე)

5 მოქ. თარგ. კონსტან-ანდრონისა.

ეს პიესა დაიდგა რუსეთის საუკეთესო თეატრებში და ეკუთვნის ამხანაგობას

იხატება დეკორაციების ნაწილი და იკერება ტანისამოსი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი და თანამშრომლები.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.** **ფასები ჩვეულებრივია.**

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

**ა ნ ო ნ ს ი:** მზად. წარმოსადგ. ხუთშაბათს, 16 აპრილს ბენეფისი დასის რწმუნებულის და ადმინისტრატორის **ვასო ურუშაძისა.**

---

ელექტრო-თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი.**

პარასკევს, 10 აპრილიდან, მარტო სამ დღეს ახალი პროგრამით ნაჩვენები იქნება:

### პატე ჟურნალი

უკანასკნელი ცნობა.

**სენსაცია!** **სენსაცია!**

### არსებობა არსებობისთვის.

გულის მომწველი დრამა 3 ნაწილად. უმთავრეს როლს შეასრულებს ქუთაისის საზოგ. მიერ პატივცემული და საყვარელი მსახიობი **ჟენია პორტენი.**

### სიყვარულისთვის დასჯა

ძლიერ კომიკური სურათია.

დასაწყისი საღამოს $6^1/_2$ საათზე. ფასები ჩვეულებრივია

**ანონსი:** ორშაბათიდან ნაჩვენები იქნება: 2 სერია **საშკა სემინარისტი.** დრამა 5 ნაწილად.

---

## ქუთაისის საზოგადო საკრებულო.

შაბათს, 11 აპრილს, 1915 წელს, შესდგება

მუსიკალურ-ვოკალურ-ლიტერატურული

## ს ა ღ ა მ ო

მომქმედ ჯარის მეომრების სასარგებლოთ.

დარბაზი მორთული იქნება ინჟინერ ფრიკის ხელმძღვანელობით.

ცოცხალი სურათები, ვოდევილი (რუს. ენაზე) ბოშათა რომანსები და სხ.

### შესვლის ფასი 1-დან 3 მანეთამდე.

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.** **დაწვრილებით პროგრამებში.**

საღამოს გამგე ელენე ნიკოლოზის ასული ჩიქოვანისა.

---

## მეაბრეშუმეებს

**ომიანობის გამო** სხვადასხვა ფირმის თესლის შემოტანა **ფრიად სა-ძნელო გახდა საზღვარგარეთიდან.** თესლის შემოტანას დიდი სი-ფრთხილე და თადარიგი დასჭირდა. მიუხედავათ **განსაკუთრებული დროისა,** თესლის ზოგიერთმა მოვაჭრემ გამოიტანა შეუმოწმებელი თეს-ლი და გაზეთებშიც **განცხადების სახით** ქება-ხოტბა შეასხეს. დღევან-დელ პირობებში გლეხ მეაბრეშუმეს **შეუმოწმებელი თესლის** შეძენა დაღუპვას უქადის.

მეაბრეშუმე-მწარმოებლები, რომ **არ მოტყუვდნენ** და სალი თესლის მაგიერ ცუდი თესლი არ შეიძინონ ჩვენ **„ეკონომიდის“** ფირმის თეს-ლი შევამოწმებინეთ სათანადო მთავრობის წარმომადგენელს **სწავლულ მეაბრეშუმე აგრონომებს.**

მოგიწოდებთ—ნუ დაენდობით დღევანდელ ომიანობის გამო შექმნილ განსაკუთრებულ პირობებში **შეუმოწმებლათ შემოტანილ თესლს.** მოგვმართეთ ჩვენ—მიიღებთ ხელმისაწდომ ფასებში **თფილისის საბრე-შუმო სადგურის მიერ შემოწმებულ სალ აბრეშუმის ჭიის თესლს.**

პატივისცემით ს/ს ძმ. კუზანოვები და ტ. ბასილაძე, ა. კილასონია.

ქუთაისი, მიხეილის ქუჩა. 6—4

---

დაიბეჭდა და იყიდება **ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

## „НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათე-ბული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სა-ვარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თგ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

---

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ

**ნ. ს. ჯორჯიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права“

Проф. Л. І. Петражицкаго. ფასი 6 შაური თ.

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმ-ყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფე-ბის მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუ-ჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავ-ათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**კბილის ექიმები**

### მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

დროებით ბათომიდან გადმო-ვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვ-ნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინ-ზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდე-ნიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

**სტუდენტი,** უმაღლესი და-საწყისი სასწა-ვლებლის მა-სწავლებელი—ამზადებს მოწაფეებს სა-შუალო სასწავლებლების ყველა კლასის-თვის. აგრეთვე უმაღლეს დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებ-ლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული. მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა ჟორ-ჟოლაძის სახლი.** 14—9

---

# ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 9 აპრილი. მთავარსარდ-ლის შტაბისაგან. კარპატებზე ავსტრიელები 7 აპრილისა და 8 აპრილის წინა ღა-მის განმავლობაში შეეცადა ტელეპოჩ-რუნინის ფრონტზე იერიშის მოტანას, მაგრამ ჩვენი ჯარის კონტრიერიშით მო-გერებულ იქნა. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა, რომელმაც თავის პოზიციე-ბისკენ დაიხია. ჩვენი ფრონტის სხვა რაი-ონებში დროგამოშვებით თოფისა და არტილერიის სროლა იყო.

**პეტროგრადი.** 9 აპრილი. ოსოვცას-თან, ლომჟასა და სტავისკის გზით, 6 აპრილს, ჩვენსა და გერმანელების მძიმე ბატარეებს შორის ცალკე ბრძოლა იყო, ამასთან ჩვენი მძიმე ზარბაზნები შორის სროლით და მიზანშეწონილობით გერმა-ნელების ზარბაზნებზე უკეთესია. ოსოვ-ცასთან ბრძოლის დროს ჩვენი ერთი ბა-ტარეია ძალიან დამარცხდა, სამაგიეროთ ლომჟის გზით მტრის ორი ბატარეია დავამარცხეთ, სატენი ყუთების მთელი გროვა, სტავისკის რაიონში და კოლ-კოსკენ მიმავალ გზატკეცილზე მტერს რაც სამხედრო ბარგი ჰქონდა მთლათ გაუნადგურეთ.

**პეტროგრადი.** 9 აპრ. მდ. ვისლას მარცხე-ნა ნაპირის რაიონში მდგომარეობა უცვლე-ლია. ვოლუჩასთან ჩვენმა ბატარეიამ გერმა-ნელების ბატარეია გააჩუმა და კურე-შინში წისქვილი დაანგრია, სადაც მტრის ტყვიისმტყორცნელები აღმოჩნდა. ვიტკო-ვიცის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა მტრის წინა სანგარი დაიჭირა და შიგ მყოფი საველე დარაჯნი ამოხოცა. კამი-ონის ახლოს ერთი გერმანელი ჯარის კაცი დაიჭრა, რომლის დასაჭერათ ჩვე-ნი ჯარის კაცი გავრიილოვი მტრის ცე-ცხლის ქვეშ თავგამოდებული გაემართა. ავერ მიუახლოვდა დაჭრილ გერმანელ ჯარის კაცს, დაიჭირა, პური აჭამა, შეუ-ხვია ჭრილობა და ამნაირათ მასთან მთე-ლი დღე დარჩა მიწა შემოყრილ თხრილ-ში. მთელი ამ დღის განმავლობაში გერ-

მანელებს იერიში მოჰქონდათ ამ ორი ჯარის კაცის ხელში ჩასაგდებათ, მაგრამ მოგერებულ იქნენ. დაბინდებისას ჩვენმა მზვერავებმა სანგარიდან დაჭრილი გერმანელი ამოიყვანეს, რომელიც გერმანელების ერთ-ერთი პოლკის უნტერ-ოფიცერი აღმოჩნდა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი**. 9 აპრილი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში ზვარტლენთან „სამოციან" გორაკზე ინგლისის ჯარის მიერ დაჭერილ თხრილებზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ მოგერებულ იქნა. ამ რაიონში, 4 აპრილს, მომხდარ ბრძოლის დროს მტრის ზარალი სამ ოთხ ათას დახოცილ ჯარისკაცს უდრის. შამპანში ვილსიურტრუბთან გერმანელები იერიშის მოტანას ლამობდნენ, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლმა შეძლება არ მისცა თხრილებიდან ამოსულიყვნენ. არგონის სიმაღლეზე ბაგატელთან გერმანელების იერიში დასაწყისშივე ჩვენი არტილერიის ცეცხლით შეჩერებულ იქნა. მაასსა და მოზელს შუა ფრონტზე გერმანელების რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ. ფლირედან ჩრდილოეთით გერმანელებზე იერიში მივიტანეთ, ერთი თხრილი დავიჭირეთ და წინათ დაჭერილ თხრილებს შევუერთეთ. ჩვენი ადგილმდებარეობა ამ ჟამათ მთელი ფრონტის 70 მეტრის ხაზს წარმოადგენს. ბრძოლის ველზე მტერმა 300-დი მოკლული ჯარისკაცი დასტოვა. ლოტარინგიაში საარტილერიო ბრძოლა იყო. აღმოსავლეთით ელზასში გარტმანიდან დაწყებული გერმანელების იერიში სულ ადვილათ მოვიგერიეთ, რომლისთვისაც საგანგებო არტილერიის ცეცხლით იყვნენ მომზადებულნი. ვევრში ჩვენმა ჰაეროპლანებმა გენერალ შტურცის მთავარ ბინას, სამხედრო ბარგს და მთავარსაგერცოგოში ბადენ ლერახის ელექტრონულ ტრანსფორმაციის სადგურს ყუმბარები დაუშინა.

**ვარშავა**. 9 აპრილი. შუადღისას გერმანელების ჰაეროპლანმა ქალაქში სამი ყუმბარა ჩამოაგდო, თუმცა ზიანი არავისთვის მიუყენებია. სამ ყუმბარიდან ერთი არ გასქდა, რომელიც მარტო გამნათებელი აღმოჩნდა.

**ლონდონი**. 9 აპრილი. პრეს-ბიურო იტყობინება, რომ მტერს „60" სიმაღლეზე განუწყვეტლივ მიაქვს იერიში. გუშინ საღამოს მტრის ქვეითა ჯარმა ორჯერ მოიტანა იერიში, რომელიც მტრის დიდი ზარალით იქნა მოგერებული. შემდეგ მთელი ღამის განმავლობაში ამ სიმაღლეზე მტერს არტილერიის ცეცხლით მოჰქონდა იერიში, მაგრამ მამაცურათ ვიგერიებდით. მტრის ჰაეროვან ანგარზე და გენტზე იერიში მივიტანეთ და დიდი ზიანი მივაყენეთ. ხაიდერის მთა გრეხილის რაიონში ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა. ინგლისელებმა დაჭრილ-დახოცილებით 70-დი დაკარგეს. მტერმა შიაბონთან 2500 კაცი დაკარგა და 515 კაცი ტყვეთ ხელში ჩაგვივარდა. ჩვენი ჯარის ნაწილები გამოეკიდნენ მტერს, რომელთა შორის ოსმალებიც ერივნენ. გზებზე და არაბეთის გემებით მდინარეზე მიმავალი მტრის ჯარი დაიქსაქსა. გემები 30 იქნებოდა და თითოს 40 წყალ რწყევა ჰქონდა, რომელთაგან თორმეტი ჩავძირეთ. 4 აპრილს, ნახაილა ავიღეთ. ნახაილიდან ჩრდილო-დასავლეთით რატაბაზე 18 მილისა და ვასორაზე 50 მილის სიშორეზეა დაბანაკებული მტრის ჯარი.

**ნიში**. 9 აპრილი. მტრის რაზმი, 4 აპრილს, ათი ნავით ცდილობდა დუნაის კუნძულ ადაკალეზე გადასვლას, მაგრამ ჩვენი ცეცხლით შეჩერებულ იქნა. ტეკისთან სერბიელების პოზიციებს ავსტრიელებმა ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. შემდეგ ავსტრიელებმა სოფელ ფიპს დიდი ყალიბის ზარბაზნებიდან დაუშინეს ყუმბარები. რამდენიმე შენობა დაზიანდა. 5 აპრილს, ბელგრადთან სერბიელების პოზიციებს აუტეხეს სროლა, მაგრამ ამაოთ, ვერაფერი დააკლეს. ამავე დროს ალბანელები რიცხვით 700 კაცი სერბიის საზღვარს დაეცა ოიროხიდის ოლქის ჩაფაბანთან. ბრძოლა საღამოს ხუთ საათზე დაიწყო. ამ ბრძოლის შესახებ ჯერჯერობით დაწვრილებითი ცნობა არარის.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

**პეტროგრადი**. 9 აპრილი. ოფიციალური ცნობა. მისმა იმპერატორებითი უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა, 9 აპრილს, კეთილ ინება და ლვოვში მივიდა.

**სტოკჰოლმი**. 9 აპრილი. რამდენიმე დღის განმავლობაში ხმები გავრცელდა, რომ დასავლეთ ფრონტზე გერმანელები დიდ ჯარს უყრიან თავს. ახლა ამსტერდამის გაზეთს დეპეშით ატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ბრძოლის დასავლეთ ასპარეზზე გერმანელებისა და ავსტრიელების ჯარის დიდი ნაწილები თავს იყრიანო. ასეთივე ხმები მოდის აახენიდან. მიღებულია ზომები ბელგიისა და ჰოლანდიის საზღვრების ჩასაკეტათ. ფიქრობენ, მოსალოდნელია გერმანელების ახალი იერიში ბელგიის ფრონტზე დანია-გილეზვის საზღვრიდან. გაზეთებს ატყობინებენ: ფლენსბურგში და ტენდენში რკინის გზით გერმანელები დიდ ჯარს უყრიან თავს. ორშაბათიდან საზღვრის ტელეგრაფი გაუქმებულია. მცხოვრებლებში ეს ამბავი დიდ აღშფოთებას იწვევს. გერმანიის მთავრობა ამას ომის გაგრძელებით ხსნის და რაც შეიძლება მცხოვრებლებს ამშვიდებს, მაგრამ ხალხის აღშფოთება მაინც არა სცხრება.

**ბუქარესტი** 9 აპრილი. კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, რომ დიდი ვეზირი ცდილობს შეიტყოს პასუხი იტალიისა და შეერთებული შტატების ელჩებისგან, არ მოისურვებენ ეს სახელმწიფოები იკისრონ შუამავლობა სეპარატული ზავის შესახებ მოლაპარაკების საქმეში.

**თეირანი**. 9 აპრილი. სპარსელების რაზმი, რომელიც მთიან გასავალთან ეკერენთან ოსმალების წინააღმდეგ იყო გაგზავნილი, უკან დაიხია. ოსმალები ქერმანშახზე ოცდა ათი ვერსით არიან დაშორებულნი. ქერმანშახის გუბერნატორს ნაბრძანები აქვს ოსმალებს წინა აღმდეგობას ნუ გაუწევს, რათა ამისთვის ძალა არ შესწევთ და ამნაირათ უაზრო სისხლის ღვრა თავიდან აიცილოს. თეირანის კაბინეტი კონფლიქტის ჩასაქრობათ ოსმალეთის ელჩთან მოლაპარაკებას განაგრძობს.

**სოლუნი**. 9 აპრილი. მიტილენიდან იტყობინებიან, რომ 7 აპრილს, მოკავშირეთა ფლოტმა პრავილის შესავალთან ოსმალების ბანაკს ყუმბარები დაუშინაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„რუსკ. ვედომოსტის" საკუთარი კორესპონდენტი იუწყება: ოსმალეთის პრესა ცდილობს დაარწმუნოს ბულგარეთი, რომ მან ისარგებლოს დღევანდელი მომენტით თავის ნაციონალური იდეალების განსახორციელებლათ, ვინაიდან ასეთი მომენტები ისტორიაში იშვიათად გამეორდებაო.

შესდგა განსაკუთრებული პარტია მეკვიდრის მეთაურობით, რომელსაც მიზნათ აქვს შეაცდინოს ბულგარეთი ფრაკიის ნაწილის დათმობით, რათა ბულგარეთმა სასურველი ნეიტრალიტეტი დაიცვას.

—

ოსმალეთის ოფიცრობები არ მალვენ სანოვაგისა და სამხედრო სურსათის სიმცირეს. სამხედრო პარტია მოითხოვს, რათაც უნდა დაჯდეს, დაითანხმონ ბულგარეთი, რომ მან ოსმალეთს არა ოფიციალურათ ხელი შეუწყოს ამ საგნების შესატანათ და თვითონაც დაუთმოს საკუთარი სურსათი.

—

როგორც გადმოგვცემენ, ბულგარეთის დიპლომატიურმა მისიამ ხელახლათ განუცხადა პორტას, რომ იგი ტყვილა ელოდება მის სასარგებლოთ ბულგარეთის გამოსვლასო.

### უნიონისტები და ომი.

უნიონისტების პარტიის მიტინგზე ბირმინგემში ჩემბერლენმა წარუდგინა მთავრობის რეზოლიუცია, რომლითაც იწონებს უნიონისტების ლიდერების მოქმედებას მთავრობის დახმარების მიზნით ამ დღევანდელ ისტორიული მომენტის დროს ნაციონალური საფრთხის თავიდან ასაშორებლათ. რეზოლიუციაში გამოთქმულია ღრმა რწმენა, რომ ინგლისის მთავრობა ენერგიულათ განაგრძობს ომს, ვიდრე თავის სასარგებლო დასკვნამდი არ მიიყვანს მას, და ვიდრე ევროპაში მკვიდრი მშვიდობიანობა არ დამყარდებაო. წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისი დაკარგავს დიდი სახელმწიფოს სახელწოდებას. თავის სიტყვაში ჩემბერლენმა განაცხადა: უაზრობა იქნება ზავი დამყარდეს მანამ, ვიდრე ბელგია გათავისუფლებულ არ იქნება და კომპენსაციას არ მიიღებს, საფრანგეთი არ მოიპოვებს ლაპარაკისა და ფიქრის თავისუფლებას, სერბია დაჯილდოვებული არ იქნება თავისი მამაცური მოქმედებისათვის, რუსეთი არ აინაზღაურებს განადგურებული ტერიტორიის ზარალს და არ დაკმაყოფილდება მისი ღირსების შელახვისათვისაო.

ზავს არ მოვაწერთ ხელს აგრეთვე მანამ, სანამ ზღვის იქითა მხარეს ჩვენი თანამემამულეთა კეთილი სურვილები დაკმაყოფილებული არ იქნება აფრიკაში და შორეულ წყნარ ოკეანეშიო.

### ომის პასუხისმგებელი.

„ამბურგ-ამერიკა ლინე"-ს მთავარმა დირექტორმა ბალინმა ბრძოლის ფრონტზე იმპერატორი ვილჰელმი ინახულა. მან „ვორლდ"-ს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ვილჰელმს არაოდეს არ სურდა ომიო. კორესპონდენტის შეკითხვაზე მაშ ვინ უნდა ჩაითვალოს ომის დაწყების დამნაშავეთ—ბალინმა შეკრთომით უპასუხა:—გერმანიას რომ სცოდნოდა, თუ ინგლისი მიიღებდა მონაწილეობას ომში, ომი არ მოხდებოდა, რადგანაც ამ შემთხვევაში ავსტრია, გერმანიის მოთხოვნით, თავდაჭერილათ მოიქცეოდაო.

### პირველ მაისის გაუქმება გერმანიაში.

„ვორვარტსი" თავის მკითხველებს აუწყებს, რომ განსაკუთრებული მდგომარეობისა და მომენტის გამო, პირველ მაისს მუშაობა არ შესწყდება. სოციალისტური გაზეთები ჩვეულებრივათ გამოვლენ, სამაისო გადასახადები ამ დღეს არ მოიკრიბება და არც რაიმე სამაისო ფურცლები დაიბეჭდებაო.

### მობილიზაცია ტრიენტის ოლქში.

იტალიაში ცნობა მოვიდა, რომ ტრიენტში საყოველთაოთ მობილიზაცია გამოცხადდაო. იწვევენ 42—50 წლიანებს, რომელთაც სამხედრო ბეგარა უკვე მოხდილი აქვთ.

### ლითონის საგნების მოგროვება.

ვენაში მეფის მფარველობით შესდგა კომისია, რომელიც შეუდგება რკინეულობის, სპილენძეულობის, ტყვიის, კალის, ბრინჯაოს, თუთიასა და სხვა საგნების მოგროვებას ყუმბარების დასამზადებლათ.

### დაჯარიმება.

მიტავაში გერმანულათ ლაპარაკისათვის გოლცინგენი [illegible] 5 თუმნით, და სტუდენტი 10 თუმნით. დააჯარიმეს. თუ ფულს არ წარადგენენ ორ კვირით უნდა ჩაჯდენ ციხეში.

### იტალიის გემის დაღუპვის გამო.

იტალიის საზღვაო წრეები ძლიერ დაფიქრებულები არიან იტალიის გემის „ლუიჯი-პაროდი"-ს ბედით. ეს გემი ამ ორი თვის წინათ ბალტიმორიდან გამოვიდა, გაემართა გენუასკენ. მას შემდეგ გემის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა. ფიქრობენ, რომ გემი გერმანიის წყალქვეშა ნავმა დაღუპაო. ამ საქმეზე გაცხარებული კამათია როგორც პრესაში, ისე საზოგადოებაშიც. ყველანი ბრალსა სდებენ გერმანიას გემისა და მის შემადგენელ ეკიპაჟის დაღუპვაში.

### გერმანიის ნავები ხმელთა შუა ზღვაში.

გაზეთებში ცნობა იყო, ვითომც ესპანიის ნაპირებთან შენიშნული იყვენ გერმანიის წყალქვეშა ნავებიო. როგორც ჩანს, ნავები ხმელთა შუა ზღვისაკენ მიეშურებოდნენ. რადგანაც ამ ზღვაზე ჯარისა და სხვა ტრანსპორტების გაძლიერებული მოძრაობაა, რომელიც გიმოწვეულია დარდანელზე ყუმბარების დაშენით, გასაკვირი არაა, რომ გერმანელებს უნდოდეთ აქ ინგლისელებისა და ფრანგების შეშფოთება. მეორის მხრით-შესაძლებელია, გერმანელები მიეშურებიან ადრიატიკის ზღვაში ჩაკეტილ ავსტრიის ფლოტის გასათავისუფლებლათ. თუმცა დღევანდლამდი არც ადრიატიკისა და არც ხმელთა შუა ზღვაში გერმანელების წყალქვეშა ნავები შემჩნეული არ ყოფილან.

## წერილი კიევიდან.

მიუხედავათ იმისა, რომ კიევის სამხედრო ოლქი საომარ ასპარეზისაგან ძლიერ დაშორებული არაა, ომის გავლენა მას მაინცდამაინც არ ეტყობა. ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში მიმდინარეობს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მხოლოდ სანოვაგის გაძვირებას, რომელიც განსაკუთრებით ხელმოკლე სტუდენტისათვის, მეტისმეტათ საგრძნობელია.

აქ განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს აურაცხელი ტყვე ავსტრიელი მოყავთ. თითქმის ყოველ დღე ქუჩებში ასობითა და ათასობით ნახავთ ავსტრიელებს. ტყვე ავსტრიელებს რომ ვაკვირდები ისინი ჩემში რაღაც სიბრალულის გრძნობას იწვევენ. ნელა მიაბიჯებენ თავჩაქინდრულნი, დაღვრემილნი, თითქო გრძნობენ რომ სამშობლო მიწა-წყალს მოშორებულნი ისინი აქაურებისათვის უცხონი არიან,

## მოქალაქეთა წრე და მისი მნიშვნელობა.

ქალაქი სამეურნეო მცნებაა და ნიშნავს განსაზღვრულ ადგილს, სადაც ვითარდება ყოველგვარი ხელოსნობა, ვაჭრობა და მრეწველობა. ამ საქმიანობის მიმდევარნი—ხელოსნები, ვაჭრები, თუ მრეწველნი—წარმოადგენენ განსაკუთრებულ წრეს, რომელნიც საქმეებით განირჩევიან სხვა წოდებისაგან და იწოდება მოქალაქეთა წრეთ. ამ უკანასკნელის როლი კაცობრიობის თანამედროვე კულტურულ წინმსვლელობაში დიდმნიშვნელოვანია. ყოველი ახალი ისტორიულათ ღირსშესანიშნავი მოვლენა, თვით ისტორიის წინმსვლელობის ღერძი—გახლავთ მოქალაქენი—მოქალაქობრივობა. მოქალაქეთა აზროვნების, მათი ლტოლვილებების მიზანი საერო ვითარებაა: როდესაც რომელიმე ქვეყანაში ვაჭრობა ვითარდება, იქ იბადება მთელი რიგი მოთხოვნილებისა, რომელიც ქმნის ახალს საზოგადოებრივ ურთიერთობას სრულებით სალს საერო ნიადაგზე: გზების გაყვანა და მჭიდროთ დაკავშირება მიჩნეულ ქვეყნის ყველა კუთხისა, ბუნების ძალების საზოგადოებრივ მიზნისათვის გამოყენება, საჭირო სამეურნეო ღირებულებათა გამოყენება და ამისი შესაფერი ორგანიზაცია შრომისა—ეს გახლავთ უპირველესი საკითხები რომლის პრაქტიკულათ დამუშავებასა და გადაწყვეტას კისრულობს მოქალაქეთა წრე, გონების ამ მხრივ ამუშავების შედეგია მთელი რიგი ახალ აღმოჩენათა, რომელიც აყენებს თანამედროვე ვაჭრობა-მრეწველობას სრულ მეცნიერულ ნიადაგზე. არც ერთი თვალსაჩინო მრეწველობა არ წარმოებს თუ არა ამა თუ იმ მეცნიერების დახმარებით. ვაჭრობა და მრეწველობა—ცხოვრების ეს უმთავრესი ძარღვი და მეცნიერება ერთი მეორეს ავითარებენ. ამით ჩვენ წინდაწინ შეგვიძლია ალვიაროთ, თუ რა მნიშვნელობა ექნება და რა კულტურული განვითარების ძალის მქონებელია მოქალაქობრიობა—მოქალაქეთა წრე.

საკითხის მიუდგომელათ გადასაწყვეტათ ჩავიხედოთ ისტორიაში და მისი ფაქტებით ცხად ვყოთ მოქალაქეთა დიდი კულტურული მნიშვნელობა. ახალ ისტორიაში საფრანგეთის რევოლიუცია ითვლება უდიდეს მოვლენათ, რომლის ზეგავლენითაც ევროპის ერთა პოლიტიკურ-სოციალური მსოფლმხედველობა ძირიან ფესვიანთ გამოიცვალა. რომელი წრე იყო მოძრავი ძალა, აგენსი, 18-ტე საუკუნის დასასრულ საფრანგეთში? განსაკუთრებით ვისი ხელი მუშაობდა რევოლიუციის სასარგებლოთ, ე. ი. ვინ წარმოშვა ის ძირითადი დებულებანი, რომლებმაც ასე გააშინაარსიანეს საფრანგეთის რევოლიუცია?

აქამდი მიღებული იყო, რომ რევოლიუცია წარმოშვა გლეხობამ, რომელიც ლუი მე-14-ეს ეპოქიდან ვიდრე რევოლიუციამდე, თანდათან საშინელსა და აუტანელ მდგომარეობაში ვარდებოდა, მაგრამ ეს მართალი არ არის.

სასოფლო მეურნეობა საფრანგეთში არა თუ არ ქვეითდებოდა, არამედ ძალზე ვითარდებოდა კიდეც, რასაც უტყუარად ამტკიცებს შემდეგი გარემოება: სახნავ-სათესი მიწა მე-16-ტე საუკუნის განმავლობაში პროგრესიულათ ძვირდებოდა; ასე რომ საშუალო ფასი სახნავ მიწისა თუთხმეტი წლის განმავლობაში რევოლიუციის წინ, ორჯერ მეტი იყო, ვიდრე იმავე მიწის ფასი 1735—1750 წ.წ. ე. ი. ნახევარ საუკუნის განმავლობაში მიწის ფასი გაორკეცებულა. ეს ფაქტი საუცხოვოთ მოწმობს, თუ რამდენად აწეულა აღნიშნულ ეპოქაში სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობა და რამდენათ უნდა გაუმჯობესებულიყო სოფლის მეურნეთა მდგომარეობა. ამის გარდა იმავე აზრს ნათელ ჰყოფს ის გარემოებაც, რომ სახნავი მიწის არე ფართოვდებოდა ჭაობების ლაშრობით უქმ და ულვაწ ადგილთა კულტურულათ დამუშავებით, ულრან ტყეების გაკაფვითა და არხების გაყვანით.

ამავე აზრს გამოსთქვამდენ მაშინდელ საფრანგეთში მოგზაური ინგლისელები იქაურ სასოფლო მეურნეობის განვითარების შესახებ.

აქიდან ცხადია, რომ საერთოდ, გლეხობის მდგომარეობა მაშინდელ საფრანგეთში გაუმჯობესების გზაზე იდგა: გლეხობა, მიწის გაძვირების მიუხედავათ, ძალზე ეტანება მიწის შესყიდვას, სივრცე გლეხთა მესაკუთრეობისა აჩქარებულის ტემპით იზრდებოდა, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ 1749 წლის კანონით ბაჟი (ნასყიდობის გადასახადი) ედებოდა სამონასტრო და სასულიერო წოდების ახალ შეძენილ მიწებსაც, რაც, სხვათა შორის, ძალზე აფერხებდა სამონასტრო საკუთრების გაფართოებას; გლეხთა მესაკუთრეობის განდიდებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ გაღარიბების გზაზე მდგარი წარჩინებული წოდება იძულებული ხდებოდა თავი შეენახა მიწის გაყიდვით. ვის უვარდებოდა ეს მიწა ხელში, თუ არა ვაჭრულ ანგარიშიანობით მოღვაწე სოფლის მეურნე გლეხობასა და ვაჭარ-მრეწველთ. იმ დროინდელ წარჩინებულ წოდების წარმომადგენელთა შორის საშინელი წუწუნი გაისმოდა იმის გამო, რომ მიწა ამ წოდებას დღითიდღე ხელიდან ეცლება და „სხვების" ხელში გადადისო.

მაშასადამე, ჩვენს მიერ განსახილველათ აღებულ ეპოქაში სასოფლო მეურნეობა განვითარების გზაზე იდგა და გლეხობის მდგომარეობა ნივთიერათ უმჯობესდებოდა: სასოფლო მეურნეთა წრე მძლავრდებოდა. მიწის საკუთრება, რომელიც წარჩინებულ წოდებას იმდენს პოლიტიკურ უფლებებს ანიჭებდა,—გადადიოდა „სხვის" ხელში. მაგრამ ეს მოვლენა დაკავშირებული იყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან. მე 18 ე საუკუნე ღირს შესანიშნავია სწორეთ ვაჭრობა-მრეწველობისა—მოქალაქობრივობის განვითარებითა მთელს ევროპაში.

საფრანგეთის მაშინდელ მდგომარეობის დასაურათებლათ მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს. სამხრეთით ეს ქვეყანა უკავშირდება სავაჭრო გზების უძველეს ქუჩას—ხმელთა შუა ზღვას, ამ გზით იგი აწარმოებდა ვაჭრობას გარდა აღმოსავლეთის და აღმოსავლეთთან მცირე აზიის (Levant) ესპანიასა, იტალიასა და აფრიკასთან. უმთავრესი მიმზიდველი პუნქტი ამ ვაჭრულ დამოკიდებულებისა იყო ქალაქი მარსელი, რომელიც გვაძლევს ნათელ სურათს საფრანგეთის მაშინდელ ვაჭრობა-მრეწველობისას. მცირე აზიასა და აღმოსავლეთში გაჰქონდათ უმთავრესი მაუდი, იქიდან-კი სამაგიეროთ შემოჰქონდათ მატყლეულობა. 1710 წ. აღნიშნული გზით მარსელიდან გავიდა 10,700 ნაჭერი, მაუდი, 1750 წ. კი—59,000 ნაჭერი ე. ი. ორმოცი წლის განმავლობაში ამ საქონლის გაზიდვის რაოდენობა გაექვსკეცდა.

გენუიდან, კორდოვიდან, ლივორნოდან და აღმოსავლეთიდან ქ. მარსელში გადმონერგულ იქნა შემდეგი ხელოსნობა და მრეწველობა: საპნეულობის ფაბრიკაცია, ტყავეულობის დამუშავება, აღმოსავლეთის მშვენიერ ქსოვილთა დამზადება და სხვ. რევოლიუციის წინ აქ ყვაოდა ყოველგვარი მრეწველობა და გაჩაღებული იყო დიდი ვაჭრობა: 38 ქარხანა საპნეულისა, 20 სააბრეშუმო, 20 სამელებისა და 40 ქუდებისა და სხ. მრავალი, რომელთა რიცხვიც თითქმის 200-ზე მეტი იყო. ამ ქარხნებში და ნავსაყუდარში თავს იყრიდა 80,000 მუშა ქალაქის ნავსაყუდარიდან გადიოდა ყოველწლიურათ 1.500 სავაჭრო გემი.

ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტები თავის თავათაც საკმაოთ მეტყველებს, თუ რა ზომამდე იყო განვითარებული ვაჭრობა და მრეწველობა სამხრეთ-საფრანგეთში.

ვაჭრული საქმიანობა და მრეწველობის წამაქეზებელი ჯიბრობა იყო მცხოვრებთა ინტერესის აღმძვრელი.

მოქალაქეთა ძლიერების ამავე ზრდას გვამცნებს ჩვენ საფრანგეთის მეორე დიდი ქალაქი და ნავსაყუდარი ბორდო, რომელიც მთელს საფრანგეთს უკავშირებს ატლანტიის სავაჭრო გზებსა და მიმოსვლას. აქ იყო სხვადასხვა გვარი მრეწველობა, ქარხნები მინეულობისა და სხვ. უმთავრესი დარგი ვაჭრობა-მრეწველობისა კი იყო გემების შენება: 1754 წელს წყალში ჩაუშვეს ამ ნავსაყუდარიდან 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც მათ მედიდურ ამპარტავნობით შესცქერიან. ხალხიც შეგროვდება ხოლმე ქუჩებში, როდესაც ავსტრიელებს დაინახავენ, ზოგი პურს აწვდის მათ, ზოგი თამბაქოს და ზოგიც რას... უნდა ნახოთ რა გამგელებული გლეჯენ ერთმანეთს პურს, გეგონებათ, მთელი თვეა არაფერი უჭამიათო. 300 400 ავსტრიელს რამდენიმე ყაზაკი აცილებს. ახლა კი უფრო გაძლიერებულია რაზმი.

წინათ ტყვე ავსტრიელები რომ ჩამოყავდათ ხოლმე დაგლეჯილ დაფლეთილი ტანისამოსი ეცვათ, ზოგი ქალის ტანისამოსში, ზოგიც ზეწარში გამოხვეული იყო. ახლა უფრო სუფთა ტანისამოსი აცვიათ. ათასში ერთი თუ გამოერევა მათში გერმანელი.

ამ უკანასკნელ დროს, აქაური საზოგადოება აჭარლებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს. ვგონებ მათ გულწრფელობაში ნაკლები ეჭვი შეაქვთ. აქაური გაზ. „კიევსკაია მისლი“-ს სამხედრო მიმომხილველი თავის წერილში აჭარლებზე შემდეგს ამბობს:

„მიუხედავათ იმისა, რომ ჭოროხის მხარეში ადგილის მდებარეობა ოსმალებს ხელს უწყობდა მეტი სამხედრო ძალა შეეგროვებიათ იქ, ეს მათ ვერ მოახერხეს.

და ეს უმთავრესათ იმიტომ, რომ მათ მოლოდინი გაუცრუვდათ და ადგილობრივი მცხოვრებნი ოსმალებს არ მიემხრენ. ეს იყო იმის მიზეზი, რომ აჭარლების იმედი მათ დაკარგეს და რუსეთის ჯარს თავის ისედაც მცირედი ძალები დაუპირდაპირეს. თავისი მხრით რუსებიც დაიმედოვნებულ აჭარლების ერთგულებით უფრო მოხერხებულათ აწარმოებდენ სამხედრო ოპერაციას.

„აჭარლები არ აჯანყდენ“—აი ის უმთავრესი მიზეზი, რომლის მეოხებითაც ჩვენი იერიშები მარჯვენა ფრონტზე გამარჯვებით დაგვირგვინდა“.

შემდეგ ს. დიმიტრიევი გადადის იმაზე თუ რა გავლენა იქონია აჭარლების აჯანყებამ საერთოდ ომის მსვლელობაზე წინა წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომების დროს.

„1828 წელს, ამბობს ს. დიმიტრიევი, როდესაც ღენერალ გესსეს ჯარმა ციხისძირს ალყა შემოარტყა ქობულეთისა და აჭარის მილიციონერებმა მათ უკან, ზურგიდან მოუარეს. ამან გადამჭრელი მნიშვნელობა იქონია. გესსეს ჯარის ნაწილი ამ ბრძოლაში დაიღუპა, დანარჩენი იძულებული შეიქნა უკან დახეულიყო. იმავე წელში აჭარლებმა ბარონ ოსტენ-საკენის რაზმის იერიში მოაგერიეს ზემო-აჭარაში, ეს რაზმი ძლივს გადარჩა დაღუპვას ბორჯომის ვიწრო ხეობაში.

„1853—4 წლებში აჭარლებმა წმ. ნიკოლოზის სიმაღლე (ПОСТЪ) აიღეს. ისინი სელიმ-ფაშას მოწინავე ავანგარდს შეადგენდენ და შემდეგაც ყოველ ბრძოლაში გმირულ თავგამოდებით ებრძოდენ რუსის ჯარს.

„უკანასკნელ რუსეთ-ოსმალეთის ომებშიც რუსის ჯარი ხშირათ შეხვედრია აჭარლებისა და ლაზების მილიციონერებს ციხისძირის პოზიციებზე და არტაანისა და ართვინის მიდამოებში, სადაც ისინი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ რუსის მხედრობას“.

ჩამოთვლის რა ყოველივე ბრძოლის იმ ეპიზოდებს, სადაც აჭარლებს და საერთოდ მაჰმადიან ქართველებს თავის ვაჟკაცობა არა ერთხელ დაუმტკიცებიათ.

ს. დიმიტრიევი აღნიშნავს რუსეთის საზოგადოების გულ-გრილობას, რომელსაც იგი იჩენს მაჰმადიან ქართველების მიართ.

„ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა ჭოროხის მხარე შემოიერთა, რუსეთის საზოგადოებამ“ „ფაქტიურად“ დაივიწყა ადგილობრივი მცხოვრებნი: ისინი კავკასიის საზოგადოებრივსა და ეკონომიურ ცხოვრებასაც-კი ძლიერ დაშორებოდენ. და ბოლოს და ბოლოს აჭარლებს სრულიად უსამართლოდ მიაწერეს ის აზრი, თითქო ისინი არა საიმედონი და მავნენი იყვნენ, მაგრამ ახლანდელმა ომმა აშკარათ დაამტკიცა ამ აზრის სიყალბე. აჭარლები და სხვა მაჰმადიანი ქართველნი არ მიემხრენ ოსმალებს და ზურგი უბრუნეს მათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ თავაღებულთა ბრბოს, რომელიც სხვა დროსაც ყაჩაღათ გავარდნილი მოსვენებას არ აძლევდა მშვიდობიან მცხოვრებლებს.

„აჭარლებმა არ მიაშველეს ოსმალებს დამხმარე რაზმი“-აი ის საიდუმლო ამოცანა, რომლის მეოხებითაც ოსმალებმა უკან დაიხიეს ვითომდა გამაგრდენ ართვინის მაღლობებზე, მაგრამ ესეც ვერ მოახერხეს: 13 მარტს, ქალაქი დასცალეს მედოსკენ დაიხიეს და 19 მარტს-კი რუსის ჯარმა წრია აიღო და ის ვიწრო ხეობა გასწმინდა ოსმალებისგან, რომელიც ოლთისა და არტანუჯს აერთებს“.

— და ეს ყოველივე ვისი წყალობითაა? რასაკვირველია, აჭარლების. მათი მეოხებით მიაღწია რუსეთმა სასურველ მიზანს. ამას სატახტო გაზეთის მიმომხილველიც გულწრფელათ აღიარებს. ამას შემდეგ ყოველგვარ ეჭვს ბოლო უნდა მოეღოს. სიმართლე აღარ დაიჩრდილება, მე მგონია, ვინაიდან ყოველგვარი თაღლითობა ამ სფეროში სახელმწიფო ინტერესებისათვისაც მავნებელია და უდანაშაულო მცხოვრებლებისთვისაც საზიანო.

დ. ნ—ვი.

---

გემი, 1763 წ.—22, 1763—1778 წ. წ. კი—245! უდიდეს როლს თამაშობდა უცხოეთთან გაბმული ვაჭრობა: 1787 წ. შემოიტანეს საფრანგეთში 310 მილიონ ლივრის საქონელი, გაიტანეს 542 მილიონ ლივრის ღირებულობა. აი ასეთი სისწრაფით ეტანებოდა საფრანგეთის ვაჭარმრეწველთა წრე მსოფლიო ეკონომიკის ფერხულში ჩაბმას; მთელი საფრანგეთი დაქსელილი იყო საწარმოო გზებით. მიუხედავათ ნანტის ედიქტის გამო უცხოეთში გადასახლებულ 200.000 გუგენოტებისა—რამაც დიდი დანაკლისი მოუტანა მაშინდელ მრეწველობას—უტრეხტის მშვიდობიანობის შემდეგ წამსვე გადიდდა და გაფართოვდა მიმოსვლის საშუალებანი 42 ფუტიან ახალ გზების გაყვანით. მთელი საფრანგეთის მეურნეობა იყო ვაჭრებისა და მრეწველების ხელში: ქვეყნის ბუნებას ებრძოდა და მითი სარგებლობდა მოქალაქეთა წრე; ფრანგული საქმიანობა გამოიხატებოდა ფრანგულ ვაჭრობასა და მრეწველობაში. თუ რამდენათ გაიზარდა მოქალაქეთა მნიშვნელობა ამას გვიმოწმებს მაშინდელი პარიზი, სადაც 700.000 მცხოვრები იყო და რომელიც თხოულობდა ყოველწლიურათ 1,500,000 მუიდ ბურსა, 450,000 მუიდ ღვინოსა, 100,000 საკლავსა (ხარი), 420,000 ცხვარსა, 30,000 ხბოსა და 140,000 ღორსა. ჯერ ამდენი მოთხოვნილების დაკმაყოფილება უკვე თავის თავათ ბადებს დიდ სავაჭრო მოედანს ბაზარს, მაგრამ გარდა ამისა იქვე იყო მრავალი ხელოსნობა და მრეწველობა: ავეჯოულობისა, ფეხსაცმელებისა, ტყავეულობისა და მრავალი სხვა. ბანკები, სპეკულიანტები, რენტიები, დამზღვევი საზოგადოებანი, საკრედიტო დაწესებულებანი და სხვანი თავს იყრიდენ სწორეთ პარიზში, რომლის შენობები, ცოტაოდენ გამოკლებით, სავსებით მოქალაქეებს ეკუთნოდათ.

ამგვარათ, მთავარი მოძრავი ძალა, როგორც ეკონომიური, ისე კულტურული განვითარებისა იყო მოქალაქეთა წრე!

გლეხობისა და მოქალაქეთა ასეთ ნივთიერათ გაძლიერებას მოყვა მათი აზროვნების და გვარობის გაძლიერებაც მთელს მაშინდელ საფრანგეთში. ამ ახლათ გაძლავრებულ წრეში დაგროვილი ძალა და ენერგია არსებობისა ინსტიქტიურათ გადადიოდა სხვა წრეებზეც, რომელთა გრძნობათა და აზროვნებათა ქსელს თვითვე სთხზავდა: ასეთი ზეგავლენის მაჩვენებელია ის ფაკტი, რომ მოქალაქეთა ინტერესების დამცველათ გამოდიოდენ სხვადასხვა წოდების წარმომადგენელი ინტელიგენტები.

ჩაიგდო რა ხელში ქვეყნის ეკონომიკის სვე-ბედი ახალმა წრემ, მისცა ახალი განსაკუთრებული მიმართულება თვით წარჩინებულ წოდებათა საზოგადოების აზროვნებას, დააყენა ეს უკანასკნელი ფართო ეროვნულ ნიადაგზე, ამით მოხდა მთელი ერის გონებასა და გრძნობათა ე. ი. სულიერ ძალების ერთ სხივტეხილში მოქცევა: სულიერათ საფრანგეთის ერის გაერთიანება შედეგია ფრანგების მოქალაქობრივი განვითარებისა. ეს იყო ძალა, რომელმაც შექმნა და წარმოშობა უძლიერესი მოვლენა ახალი ისტორიისა —საფრანგეთის რევოლიუციებისა!

მოქალაქეთა წრემვე დაჰბადა ახალი კულტურული ღირებულობანი.

მაგრამ ამაზე შემდეგ მოგახსენებთ.

ტიტე.

---

# ვინ უნდა იყოს.

## ქუთაისის მომავალ კომერციული სასწავლებლის უფროსი?

ყოველი კომერციული სასწავლებლის კომიტეტს ის უფლება აქვს, რომ შეუძლია აირჩიოს სასწავლებლის დირექტორი. ამიერ კავკასიის მხარეში კომიტეტები ფართოდ სარგებლობენ ამ უფლებით და სასწავლებელთა დირექტორებად იწვევენ ისეთს პირს, რომელიც მათის აზრით მის მოთხოვნილებათ უკეთ მხრით აკმაყოფილებენ. ამ რიგად თვით ბაქოშიც კი, სადაც უმრავლესობა სომხები და თათრებია,—დირექტორად აირჩიეს ქართველი ბ. მიხეილ თაქთაქიშვილი, რომელმაც სამაგალითოდ დააყენა ბაქოს კომმერციული სასწავლებელი,—თფილისის პირველი კომმერციულ სასწავლებლის დირექტორად აირჩიეს თფილისის მეორე გიმნაზიის მასწავლებელი ბ. გეხტმანი, ქართულის ენის კარგად მცოდნე, შვილიშვილი მწერალი ქალის ბარბარე ჯორჯაძისა. თფილისის მეორე კომმერციულ სასწავლებლის დირექტორად კი აირჩიეს თფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ნ. დ. მახათაძე, რომელმაც დიახ კარგად დააყენა საქმე ამ სასწავლებელში და სხვა... ერთი სიტყვით, კომ. სასწავლ. კომიტეტები, როგორც სჩანს, ადირექტორებენ უფრო დამსახურებულს მასწავლებლებს და არც ერთხელ არ მოტყუებულან არჩევანში. ამიერ კავკასიაში კომიტეტების მთავარი აზრია—აირჩიონ დირექტორებად ადგილობრივ მკვიდრთა შვილები და კერძოდ საქართველოში კი—ქართულის ენის მცოდნენი. ეს ასეც უნდა იყოს. არარუსებს მთავრობის საშუალო სასწავლებლებში ნაკლებად ვხედავთ დირექტორებად, ინსპეკტორებად და მასწავლებლებად. ამ თანამდებობებზე თავისი ნებით ნიშნავს კანდიდატებს ბ. მზრუნველი. მაშასადამე, დარჩა ორი დაწესებულება სათავად-აზნაურო სასწავლებლებთა უწყება და კომერციულ სასწავლებელთა კომიტეტები. ამ ორს დაწესებულებაში პირველი იმთავითვე ადგია სადს, შეგნებულს და გონივრულ პედაგოგიურს მოძღვრებას, რომელიც ღაღადებს: მიანდე ბავშვთა აღზრდა ისეთს პირებს, რომელთაც იციან მათი ენა, ზნე-ხასიათი, ისტორია და ქვეყანა,—რომელნიც გამსჭვალულნი არიან მათის სამშობლოს მიმართ მხურვალე სიყვარულით. მეორე, სახელდობრ, კომერც. სასწ. კომიტეტები, რამდენადაც კი შეიძლება, ახორციელებენ ამავე მოთხოვნილებას, ვინაიდან მაინც და მაინც გადამთიელთაგან და ცხრამთას იქიდან არ იწვევენ კანდიდატებს სადირექტოროდ. უნდა კარგად ვიცოდეთ, რომ კომ. სასწ. კომიტეტს ნება აქვს აირჩიოს დირექტორი. რომელსაც ამტკიცებს მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი. არჩევა დირექტორისა კომიტეტის ხელშია, ხოლო მისი დათხოვნა მას, ამ კომიტეტს, აღარ ძალუძს. კომიტეტის მიერ არჩეული დირექტორი, მინისტრისაგან დამტკიცების შემდეგ, თავს თავისუფლად გრძნობს, კომიტეტს აღარაფერი ეკითხება იმისი, თუ ვის მოიწვევს დირექტორი ინსპექტორად, მასწავლებლებად და სხვა მსახურ პირებად. ეს საქმე სრული მისი უფლებაა. ავიღოთ თფილისის მეორე კომერციული სასწავლებელი, რომლის დირექტორად ბ. ნიკ. მახათაძეა.. მან მასწავლებლებად მიიწვია თავისი უფლების ძალით ისინი, ვინც მას უნდოდა—მანვე კარგად დააყენა ქართული ენა... მაგრამ იმავე მახათაძეს, რომ არაქართველები და აგრეთვე არასომხები, არამედ სხვა რომელიმე ტომის შვილები მიეწვია სასწავლებელში, კომიტეტი ვერას ეტყოდა... ვიმეორებ არჩევა დირექტორისა ადვილია, ხოლო მისი გამოცვლა კომიტეტს აღარ ეკითხება. ყოველივე ეს კარგი უნდა ასწონ-დასწონოს ქუთაისის მომავალ კომერც. სასწავლებლის კომიტეტმა, რომელმაც საკითხი ამ სასწავლებლის დირექტორის არჩევის შესახებ დიდის სიფრთხილით და დაკვირვებით უნდა გადასწყვიტოს,—მით უმეტეს, რომ ეს სასწავლებელი იქნება ქუთაისში, —რომელიც დასავლეთ საქართველოს შუაგულად, ნამდვილ ქართულ ქალაქად ითვლება... ყოველს შემთხვევაში, თუ კი თფილისში და ბაქოში ქართულ პედაგოგთაგან მოსძებნეს ღირსი პირები სადირექტოროდ, ნუ თუ ქუთაისში არ შეუძლიათ ამავე ქართველ პედაგოგთაგან გამოძებნონ გამოცდილი, დაკვირვებული, ნამდვილი ქართული სულით დაჯილდოებული პედაგოგი, რომელსაც იმავე დროს ესმის თანამედროვე საალმზრდელო მეცნიერების მთავარი მოთხოვნილებანი...

დიდს პასუხს აგებს კომიტეტი სვინდისისა, მამულისა და ახალთაობის წინაშე, უკეთუ ამისთანა დიად მნიშვნელოვანს საკითხში იგი იხელმძღვანელებს ისეთი მოსაზრებით, რომელსაც დროებითი, წარმავალი, წუთიერი მნიშვნელობა აქვს... არ უარვჰყოფთ, რომ არაქართველ პედაგოგთა შორისაც მოიძებნებიან ყოვლად-ღირსეული კანდიდატები, მაგრამ ღირს კანდიდატთა შორის, რომელთაგან ერთი ქართველია, ხოლო მეორე არაქართველი, ჩვენ უპირატესობას პირველს ვაკუთვნებდით მრავალ მოსაზრებათა და მიზეზთა გამო.

პრესსა ვალდებულია საზოგადოებას განუმარტოს ცხოვრების მოვლენათა ავი და კარგი... და ჩვენც სწორედ ამ წმინდა მოსაზრებით ხელმძღვანელობდით, როდესაც ამ წერილის დაწერას შეუდეგით... გამოცდილებით ვიცით, რომ ქართველებმა ბევრს საქმეს, მათის ქვეყნისთვის სახეიროს, ძირი გამოუთხარეს, იმის გამო, რომ შორს მჭვრეტელებას მოკლებული არიან.. და ყოველს მოვლენას ჭკუა-გოვების საჭახრაკოში კი არ ატარებენ,—არამედ უმტკიცი, ცვალებადი გრძნობის მიხედვით სწყვეტენ...

ხშირად მოხდება, რომ შემდეგში, —საქმის წახდენისას—იგივე ქართველები ამის გამო ერთმანეთს შესჩივიან, წუწუნობენ ჩუმად, გაუბედავად, თვისს კაბინეტში. ნუ დავივიწყებთ იმ ანდაზას, რომელიც ზედგამოჭრილია ჩვენს ხასიათზე.....

„წამხდარს საქმეს რას არგებს
შერჩენა თითზე კბენანი?!

ჩემის კერძო მოსაზრებით, ყველას ის აჯობებს, რომ ქუთაისის კომ. სასწ. კომიტეტმა ქართულს გაზეთებში განცხადებათა საშუალებით მოიწვიოს კანდიდატები სადირექტოროდ. გამოჩნდება, ვის სურს დირექტორობა, ვის რა სამსახური მიუძღვის საზოგადოების და სკოლის წინაშე—და, შესაძლებელია, რომ ამის მეოხებით სასწავლებლის სვე-ბედი საიმედო პირს მიენდოს.. მაგრამ განა ჩვენ ვსარგებლობთ ჩვენის უფლებით იქ, სადაც ამას კანონი გვანიჭებს?! სწორედ აქაც, ამ ჩვენი უფლების სფეროში, ჩვენს ადგილს ჩვენვე ნებით სხვა ვუთმობთ... ეს ჩვენი დაბეჩავებული ცხოვრების, ჩვენის მონობის შედეგია!!

მიუდგომელი.

---

# სამგლოვიარო წერილი

### ვარლამ გელოვანის გადაცვალების გამო.

(ავსტრიის ფრონტიდან ქალაქ ტარნოვში დაწერილი).

დაობლდა სამშობლო! მწარე სევდით გაიქლენთა ყველა ქართველი ჯარისკაცი. მწარედ მოვსთქვამთ დიდებული ადამიანის ვარლამ გელოვანის დაკარგვას.

ასეთმა სამწუხარო ამბავმა დაგვავიწყა ის უბედურება, რომელიც ჩვენ თავზე დატრიალებს და თვალზე ცრემლის ნაკადული აგვიჩქეფა. ჩვენ შვილნი შორეულ კავკასიისა, ცეცხლის ალში გახვეულნი, მუხლმოდრეკით თაყვანს ვცემთ მშვენიერ ადამიანს და აღუთქვამთ, რომ ვარლამის ხსოვნა ჩვენ—ქართველ ჯარისკაცთა-შორის უკანასკნელ მაჯისცემამდი აღმოუფხვრელი იქნება.

ჯარისკაცი სანდრო ფხაკაძე.

---

# ახალი ამბავი.

ხუთშაბათს, 9 აპრილს, ქუთაისის გუბერნატორის ბინაზე მოხდა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა კრება. გასარჩევათ დანიშნული იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ღვინის გაყიდვის ნების დასართავად 2) მოხსენება ი. ა. გუნცაძისა შაბიამანის გაყიდვის პირობების შესახებ; 3) განცხადება საზოგადოების მდივნისა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და სხვა. კრებას თავჯდომარეობდა ქუთაისის გუბერნატორი, კამერ-იუნკერი ბ. პოტულოვი, მდივნის თანამდებობას ასრულებდა ა. ი. საყვარელიძე. პირველათ მოხსენება წაიკითხა პეტრე ყიფიანმა და ქუთაისის გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინეობის უფროსმა სპეციალისტმა კ. ზურაბიშვილმა, რომლებიც მოითხოვდენ, რომ სოფლელებს ნება ჰქონდეთ ღვინის თავისუფლად გაყიდვისა. ეს მოხსენებანი კრებამ მიიღო.

შაბიამანის შესახებ მსჯელობა ვერ იქონიეს, რადგანაც მომხსენებელი გუნცაძე კრებას ვერ დაესწრო.

✦ ქალთა სახელოსნო სკოლის მასწავლებელ ქალს ქ-ნ ოლღა ჩერქეზიშვილისას გუბერნატორისთვის თხოვნა მიუცია: დახმარება აღმოუჩინოს ხსენებულ სკოლის ოცდაოთხ უღარიბეს მოსწავლე ქალს, რადგანაც წელს ამ სკოლას ომის გამო მეტად მცირე შემოსავალი აქვს.

✦ გუშინ, 10 აპრილს, მდ. რიონში თეთრი ხიდიდან თავის მოკვლის განზრახვით გადავარდა გოჭოურის მცხოვრები ანტონ ჯიქია. როდესაც მდინარეში ვარდებოდა, შემდეგი სიტყვები წარმოსთქვა: „ღმერთო! ასეთი ბედი სწიე ჩემს შვილებსო“. იგი წყალს აცდა და რიყეზე დაეცა. იქიდან ჯიქია ჯარის კაცმა ამოიყვანა და საექიმოთ ქალაქის საავათმყოფოში წაიყვანეს. ჯიქია 70 წლის მოხუცია.

✦ ჯარში გაწვეულთა დამხმარე სათავად-აზნაურო საგუბერნიო კომიტეტს დღემდის შემოსავალი ჰქონია 4.919 მან. და 75 კაპ. აქედან გასავალი 1.058 მან. და 89 კაპ. კომიტეტს ჯერ-ჯერობით დახმარება აღმოუჩენია 58 ოჯახისათვის.

✦ ყაჩაღების მიერ გატაცებულ ვაჭრის სტეფანე პეტრეს ძე ოცხელის შესახებ არა ისმის-რა. გატაცებულსა და გამტაცებლებს პოლიცია კვლავ დაეძებს.

✦ როგორც შორაპნის მაზრიდან გვწერენ იქ ამ ბოლო ხანებში ძლიერ გავრცელებულა ყაჩაღობა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა პოტულოვმა და ქუთაისის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის თავჯდომარემ შუამდგომლობა აღძრეს მეფის მოადგილის წინაშე, რათა აიკრძალოს შაბიამანისა და გოგირდის გატანა ქუთაისის გუბერნიიდან, სადაც ცოტა შაბიამანი და გოგირდი მოიპოვება, რომელსაც ჩარჩ-ვაჭარნი ყიდულობენ და სხვაგან გააქვთ მამასისხლად გასაყიდად.

ქუთაისის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტმა დაადგინა, მომავალში ვაზის საწამლებელ მასალის უბაჟოდ შემოტანის ნებართვა აღარ მისცეს იმ ვაჭრებს, რომელთაც ისარგებლეს დღევანდელ მდგომარეობით და მასალას ცეცხლის ფასად ჰყიდიან.

✦ 9 აპრილს, შავიქვის საბჭოს დარბაზში შესდგა ქუთაისის მომხმარებელ საზოგადოების „კოოპერაციის“ გამგეობის კრება. გამგეობის წევრებმა თავჯდომარეთ აირჩიეს დავით ჩადუნელი, მოლარეთ ქ-ნი ოლღა შენგელიასი, მდივნათ ზაქარია გოგვაძე და ანგარიშების მწარმოებლათ აკაკი ხვიჩია. გამგეობამ კრებაზე დაადგინა: ახლო მომავალში „კოოპერაციის“ დამფუძნებლებიდან ჩაიბარონ ყოველგვარი ანგარიშები და აგრეთვე მიიღონ შესაფერი ზომები ახალი წევრების შესაძენათ და საპაიო გადასახადის შესაკრებათ.

✦ რადგან ამ წასულ მარტის თვეში ხარაგოულის სამკითხველოს შესახებ დანიშნულ მორიგ კრებაზე ჯეროვანი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა, ხელახალი კრება დანიშნულია ამა აპრილის 12 რიცხვს.

იმედია ახლა მაინც დაესწრებიან პატივცემული წევრები სამკითხველოს შესახებ საკითხების მოსაგვარებლათ.

✦ ქალთა სახელოსნო შკოლის მასწავლებელმა ქ-ნმა ოლღა ქორქაშვილისამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, ქალაქში უფასო სასადილოების გახსნის შესახებ, ომში გაწვეულ ჯარის-კაცთა შვილებისათვის; გუბერნატორმა უკვე აღუთქვა დახმარება, შესდგა კომისია, რომელმაც უნდა დაწვრილებით გაიგოს ჯარის-კაცთა ოჯახების მდგომარეობა, შეადგინოს სიები ყველა იმ ოჯახთა ბავშვებისა. მთელი ქუთაისი დანაწილებულია სამ რაიონათ: 1) შუა-უბანი 2) წყალ-გაღმა უბანი 3) „ნავთრნი“ უბანი. შუა უბანში მუშაობენ კომისიის წევრნი ქ-ნნი მარიამ თაყაიშვილისა, თამარა ტუსკია, ბაბო მჭედლიძის ასული და ბ-ი ნიკანდრი ასათიანი.

**ნავთრნი უბანში:** ქ-ნნი, ოლღა გეგეჭკორისა, რებეკა კაკაბაძისა, ანნა მგალობლიშვილისა, ეფროსინე კანდელაკისა და ბ-ნი ნ. ჩხიკვაძე.

სავაჭრო სახლი **ძმ. კუზანოვების** ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის **„ეკონომიდის“**, ამით აუწყებს მაბრეშუმეებს, რომ თესლი **უკვე** მივიღეთ და ვყიდით **ხელსაყრელ ფასებში, პარტიობით და წვრილათ.**

თესლი შემოწმებულია **თფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს.**

სავაჭრო სახლი სარეკლამო და კოლონ. საქონლის **ტ. ლ. გასილაძე და ა. მ. კილასონია** ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩ. 15—14

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წყალ გალმა უბანში:** ქ-ნნი ნადეჟდა ნიჟარაძისა, ნიფიდორა კვიცარიძისა ლიუბა ქებაძისა, ქეთევან ჩარკვიანი, ნინა სვანიძე, მენიკი შელია, ბ-ნნი რაჟდენ კანდელაკი და ტუტკუ გვარამია.

✦ ამას წინათ ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ დაადგინა, რომ ქალაქის პირველდაწყებით სკოლებს მიუმატონ მეოთხე განყოფილება, ეს საკითხი ქალაქის საბჭომ უნდა გაარჩიოს 13 აპრილს, რის შესახებ ქალაქის გამგეობამ ბ. გუბერნატორს აცნობა, უწყებაში შესატანათ.

✦ ინჟირნის ქუჩის შესახვევში დიდი უსუფთაობაა და ამ ქუჩის მცხოვრებნი ძლიერ შეწუხებული არიან. საჭიროა ამ გარემოებას ქალ. სანიტარებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ.

✦ გუშინ, 10 აპრილს, ქუთაისის ბაზარში ვიღაცა ჯიბგირმა კვირკაძის ქალს ჯიბიდან ამოაცალა 80 მან. ფული.

✦ ქუთაისის ბაზარზე გუშინ სოფლიდან ჩამოტანილი სანოვაგე შემდეგ ფასებში იყიდებოდა: ფქვილი ფუთი 1 მ. და 80 კაპ. სიმინდი 1 მან. და 60 კაპ. ლობიო 1 მ. და 60 კაპ. ნამყენი ვაზი ასი ცალი 1 მ. და 50 კ.

✦ ამ დღეებში ქუთაისის ბაზარზე დიდძალი მოცვის ჩაი შემოდის. ფუთი 9—10 მანეთად იყიდება.

### თეატრი.

დღეს, ქალაქის თეატრში ქარ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე ახალი პიესა „იუდას მემკვიდრე“ საზოლშჩიკოვ-სამარინისა თარგ. კონ. ანდრონის მიერ. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. იკვრება ტანისამოსი — ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

### თფილისი.

— რუსულ-ქართული ლექსიკონი. ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების კრება 7 აპრილს მოხდა. გამგეობამ მოისმინა წიგნების გამომცემელი სექციის მოხსენება რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოცემის შესახებ და დაადგინა: 1) ლექსიკონის გამოცემის საფუძვლად მიღებულ იქმნას 1910 წლის 16 დეკემბერს გამგეობისა და 23 სპეციალისტის შეერთებულ კრების მიერ გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია: „1) გამოიცეს რუსულ-ქართული, ქართულ-რუსულ-ფრანგულ-და ქართულ-ფრანგული ლექსიკონი. 2) რედაქტორობა და ლექსიკონის შედგენა მიენდოს ერთს პირს. 3) რედაქტორობა დაეკისროს დავით კარიჭაშვილს. 4) ეთხოვოს ბ-ნ კარიჭაშვილს, შეადგინოს სამოქმედო გეგმა და წარმოუდგინოს გამგეობის მორიგ კრებას ორი კვირის განმავლობაში. 5) ხარჯების შესახებ მოლაპარაკება მოხდეს სამოქმედო გეგმის წარმოდგენის შემდეგ. 6) პირველად უნდა გამოიცეს რუსულ ქართული ლექსიკონი“.

— ქართველ ქალთა ჭრა-კერვის სკოლაში ქ-ნმა ნინო ალექსანდრეს ასულმა საგინაშვილისამ თვის მეუღლის ხსოვნის აღსანიშნავად ერთი სტიპენდია დანიშნა. ამავე სკოლას გრიგოლ ლაზარეს ძე კოტიევმა თავის მეუღლის ხსოვნის აღსანიშნავად 50 მანეთი შესწირა.

— გორის სასულიერო სასწავლებლის სარევიზიოთ საქართველოს ეგზარხოსმა პიტირიმმა სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ს. ა მუხრანსკი გაგზავნა.

— პროგიმნაზია ხაშურში. 12 აპრილს, ხაშურის პროგიმნაზიის საკუთარ შენობის საძირკველს ჩაჰყრიან. ამის გამო გუშინ პროგიმნაზიის დირექტორმა ალ. ბეს. მდივანმა საქართველოს ეგსარხოსს სთხოვა საძირკვლის კურთხევა. კურთხევაზე დასასწრებლათ თფილისიდან მიემგზავრებიან: კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი, გუბერნატორი სტრახოვსკი და სხვანი.

## ვისარგებლოთ გრძელი კანიკულებით.

არაჩვეულებრივმა წელიწადმა არაჩვეულებრივი კანიკულები მოგვიტანა: 2 თვის მაგივრათ $4^1/_2$—5 თვე (იქნებ მეტიც) გრძელდება არას ვიტყვი ამ განკარგულების სიავ-კარგეზე, მინდა მხოლოდ მივაქციო სოფლის მასწავლებელთა, მოზარდი ახალგაზრდობისა და საზოგადოთ სოფლის ინტელიგენტთა ყურადღება ყველასაგან მოძულებულ სოფელს. ყველას ენაზე გვაკერია: სოფელი, გლეხი, მუშა... და ძალიან კი გვეზარება მოვიცალოთ მათი ყოფა-მდგომარეობისა, ჭირ-ვარამისა, თუ ლხენის შესასწავლათ. იქნებ მისაყვედურონ: „ცილს ნუ გვწამებ, მდაბიო ხალხი ჩვენ გვიყვარს, მათთვის გარჯა არ გვეძნელებაო და სხვა“. კეთილი და პატიოსანი: ა, პირი და ა, პური! ა, ბურთი და ა, მოედანი! სამკალი ბარემ ბევრია და მომკელები ჩვენ შევიქნეთ. ნახევარი ზაფხული თავისუფალი გვექნება, მოვედოთ, მოვეფინოთ ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში დაბა-სოფლებს, შევისწავლოთ ხალხის ჭირი და ლხინი, მისი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა, შევკრიბოთ ნაშთნი ზეპირსიტყვაობისა, ავსწეროთ ისტორიული სიძველენი და სხვა და სხვა. ვინ მოსთვლის, რამდენი საქმის გაკეთება შეიძლება! და მერე ყოველივე ეს ქვეყანას ვამცნოთ პრესის საშუალებით. მადლობა ღმერთს, გაზეთები ბლომათაა ჩვენს კურთხეულ სამშობლოში. დარწმუნებული ვარ, ყველა რედაქცია დაუთმობს ადგილს თავის გამოცემაში ჩვენ მიერ მიწოდებულ მასალებს, ხოლო შემდეგში ამ დაგროვილ მასალას გადაარჩევს ვისიმე მადლიანი ხელი, დაამუშავებს და გამოსცემს. აკი არსდება ჩვენი უკვდავი აკაკის სახელობის სპეციალური თანხა ზეპირსიტყვაობის გამოსაცემათ. აგრეთვე გამოსადეგი იქნება სხვა მასალებიც ჩვენი ქვეყნის მკვლევართათვის. მერე რამდენ სიამოვნებას მივანიჭებთ ამით ჩვენს თავს: ექსკურსიით დავსტკბებით, ერთ-ერთ კუთხეს ჩვენის სამშობლოისას და იქ მობინადრეთ დაახლოვებით გავიცნობთ და სხვებსაც გავაცნობთ და, რაც ყველაზე მეტია, საქვეყნო სასარგებლო საქმეში ჩვენც ჩვენს წვლილს შევიტანთ!

ყოველდღე ვკითხულობთ გაზეთებში — შიმშილობა აწუხებს სოფელსო, ხოლო ნამდვილი მდგომარეობა საქმისა კი ვერ წარმოგვიდგენია, თუ სად რა სახეს ღებულობს შიმშილობა და სად რა ზომის დახმარებაა საჭირო. *) ზოგიერთების რჩევა — დამშეულთათვის დამხმარე კომიტეტის დაარსების შესახებ, მართლაც, რომ მოსაწონია. ასეთი მუდმივი კომიტეტი უნდა არსებობდეს, მაგრამ რამდენიმე აიეული კაცისაგან შემდგარი კამიტეტი, რაც უნდა ტიტანიური ენერგიისა და აუარებელი საშუალების პატრონი იყოს იგი, განა შესძლებს დროზე შეისწავლოს ხალხის გაჭირვება, ყოველ კუთხეში და ყოველგან მისწვდეს და მიაწვდინოს დახმარება, უკეთუ ადგილობრივ ყოველ სოფელში დამხმარე არ ეყოლა? და ეს დამხმარე, ჩემის აზრით, უნდა იქნეს სოფლის მასწავლებელი, მღვდელი, მოსწავლე ახალგაზრდობა, თორემ ყველგან საგანგებოთ დაქირავებულ კაცებს კომიტეტი ვერ იყოლიებს და თუ იყოლიებს, ამ დაქირავებული კაცების შენახვა უფრო მეტი დაჯდება, ვიდრე სოფელზე გაცემული დახმარება.

ამიტომ ვამბობ, თუ სოფლის მასწავლებლები, ინტელიგენტები, მოსწავლე ახალგაზრდობა დაბა-სოფლათ გაიფანტებიან, სწრაფათ შეკრიბენ საჭირო ცნობებს და გამოაქვეყნებენ, თუ ბედმა გაგვიღიმა და დამშეულთა დამხმარე კომიტეტიც დაარსდა, საქმე ერთი-ათად გაუადვილდება მას, თუ არა და ქვეყანა მაინც დაინახავს ჩვენს უპატრონობას.

ერთის სიტყვით, როგორათაც და რანაირათაც უნდა გავსაჯოთ, ჩვენი ვალია სოფელს მივხედოთ და თუ მეტი არა, ერთი თვე მაინც შევსწიროთ მას და მის შესწავლას. კერძოთ ამისთვის სახელმძღვანელო გეგმის შედგენა საჭიროთაც არ მიმაჩნია: სამკალი ფრიად დიდია, მისი შემოფარგვლა შეუძლებელიცაა; სჯობს ასე: ვისაც რა შეეძლოს, ის გააკეთოს, ოღონდ წავიდეს სოფლათ და გააკეთოს რამე, გეთაყვა სინიდისიერათ გააკეთოს.

რაიმე გაუგებრობის ასაცილებლათ ბარემ აღვნიშნავ, რომ დასახელებული მუშაობა სრულებითაც არ უშლის ხელს მოაწყონ ჯგუფებმა სხვადასხვა კუთხეში ექსკურსიები. პირიქით, ექსკურსიის დროს კიდევ უფრო სახალისოა განზრახული მუშაობის შესრულება, უფრო ადვილი მასალების შეკრება-შრომას დაინაწილებენ.

ნებას ვაძლევ თავს, მოვაგონო აქვე სოფლის მასწავლებელთ, რომ ჩვენ ისედაც ვალი გვმართებს სამშობლოს შესასწავლი მასალები შევკრიბოთ. 80 მასწავლებლის მონდომილობით შედგენილ პროგრამის წინააღმდეგ არც ერთ მასწავლებელს ხმა არ ამოუღია, გარდა ერთისა, რომელზედაც ქვემოთ მოგახსენებთ. ეს სიჩუმე უთუოთ თანხმობის ნიშანია და ხმის ამოუღებლათ ვალათ ვიდგენთ ყველანი — ვიმუშაოთ პროგრამის მიხედვით. ეს გრძელი კანიკულებიც თითქოს განგებ ჩვენთვის მოაწყვეს, რომ პირნათლათ შევასრულოთ ნაკისრი მოვალეობა — შევკრიბოთ ყოველივე მასალა, რის შეკრებაც ჩვენს ახლო-მახლო შეიძლება.

ერთმა მასწავლებელმა უკვე მოათავსა თავისი შრომა გაზ. „შრომაში“. უთუოდ დანარჩენები შეძლების და გვარად მუშაობენ, და უკეთუ აქამომდე მათგან ხმა არ ისმის, ალბათ იმიტომ, რომ პირდაპირი მოვალეობის ასრულება, ომიანობის ქარტეხილი და, უმთავრესათ, დაჩქარებით სასწავლო წლის დამთავრება, ხელს შეუშლიდა მასალების შეკრებასა და დამუშავებაში, მაგ., ასეთ ხონში: აქ მასწავლებლებმა დაინაწილეს ხსენებული პროგრამა და შეუდგენ მუშაობას, თუმცა ჯერ ვერ დაასრულეს. მოკლე დროში ერთად შეიკრიბებიან, რომ გადაათვალიერონ, რაც უკვე შეკრებილი აქვთ და იმავე დროს ფიქრობენ საზაფხულო გეგმაც შეიმუშაონ.

ეჭვიც არა მაქვს, რომ მასწავლებლები თავისუფალი დროით ისარგებლებენ, შეკრებილ მასალას დაალაგებენ და ერთ-ერთ რედაქციაში გაგზავნიან. ჩვენდა სასიხარულოთ, ყველანი სიამოვნებით მიუგებენ ჩვენ განზრახვას და თავიანთი გამოცემის ფურცლებს არ დაგვიმადლიან.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ შედგენილ პროგრამაზე პროტესტი ერთმა მასწავლებელმა განაცხადა-მეთქი. აი როგორ: როდესაც მას შემთხვევით შევეკითხე მასალების შეკრების შესახებ, ცოტა მკვახეთ მითხრა: „მე არც ვერიე იმ 80 მასწავლებელში და არც სავალდებულოა ის პროგრამა ჩემთვისო. სხვა არა იყოს რა, ამ შრომის შესრულებისათვის საჭიროა იმ სოფლის ვითარება დაწვრილებით შეისწავლო, გლეხებთან დაახლოვებული იყო და ამის დრო ვისა აქვსო: სანამ სკოლაში სწავლაა, ბავშვების სწავლებას ვუნდები, ხოლო როცა თავისუფალი ვარ, რა დამაყენებს სოფელშიო“.

ძალიან საჭიროა ვიცოდეთ, ნუ თუ ბევრნი არიან ამ მასწავლებლის აზრისა? რატომ ხმას არ იღებენ მერე? დასახელება იმ მასწავლებლისა არ შემიძლია, რადგან მას სამისო იქვე ვუთხარი, ხოლო ის და მისი თანამოაზრენი, თუ ასეთები კი არიან, თავს თვითონ გაგვაცნობენ მით, რომ არას გააკეთებენ ამ მხრივ. უთუოთ თავის გასამართლებელ საბუთებსაც მაშინ მოგახსენებენ.

ზოგიერთებს კიდევ თურმე ზოგი კითხვა პროგრამისა ზედმეტათ მიაჩნია, მაგ., სტატისტიკური ცნობები, გვარების ჩამოთვლა, თუ სხვები.

არ ვდავობით, უნაკლულო და სრული ქვეყანაზე ჯერ არაფერი არ არის. თუ პრესის საშუალებით შეიტანა პროგრამაში ვინმეს შესწორება, მეტათ სასიამოვნო იქნებოდა. რაკი ასე არ ინებეს, ვინ უშლის, სად რა ენებოს — გამოტოვოს, სად რა ენებოს — ჩაუმატოს, ოღონდ რამე გაკეთდეს და ყველამ გააკეთოს, ვიმეორებ: ჩემის აზრით ორი რამ არ შეიძლება გამოტოვებულ იქნას: ა) რამდენათ იზრდება ქართველთა რაოდენობა და ბ) ზეპირსიტყვაობა. პირველის შესახებ ცნობები შეიძლება ამოვკრიბოთ საეკლესიო საბუთებში, ან სასოფლო სამართველოში, ხოლო მეორის, ზეპირსიტყვაობის, მოკრების დახანება მიუტევებელი დანაშაულია და არც შეიძლება. ვინც კი წერა-კითხვა იცის, ყველას შეუძლია შეკრიბოს ზღაპრები, ლექსები, ლეგენდები, ანდაზები, გამოცანები და სხ. ეს ყველას ვალია და ვინც ამისთვის არ გაირჯება, რა პირით უნდა ახსენოს მან დაუვიწყარი ჩვენი აკაკი.

მაშ, ეგრე: ამ გრძელი კანიკულებით ვისარგებლებთ და უქმათ არ გავატარებთ, საპირადოსთან საქვეყნო საქმეზედაც ვიზრუნებთ.

**ლ. ჩიმაკაძე.**

P. S. სხვა გაზეთებსაც ვსთხოვ გადაბეჭდონ ეს წერილი და მით მომცენ საშუალება ყველას მივაწვდინო ხმა.

**ლ. ჩ.**

*) მეფის მოადგილის თანაშემწეს, გოფმეისტერ პეტერსონს განუცხადებია ჩვენის დეპუტატისათვის: გურია-სამეგრელოში სიმშილობა არც ისე დიდია, როგორც ამაზე ლაპარაკობენო („სახ. ფურც.“ № 250).

ნამდვილათ ასეა კი? ყველამ იცის ოფიციალური ცნობები რაგვარათ იკრიბება ბოქაულ-მამასახლისების შემწეობით.

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ ეს წერილი თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში“-ი.

ჩემი მიზანი იყო დავხმარებოდი, რამდენადაც ეს ჩემთვის შესაძლებელი იქნებოდა, ქართული სცენის აღორძინება-გაძლიერების საქმეს.

გზა ამ მიზნისაკენ გრძელი და თანაც ეკლიანი შემხვდა. მეც ვითმენდი ყველაფერს: მიზანს ვერ უარვყოფდი და უმიზნოთ სიცოცხლე კი ვერ წარმომედგინა. ჩემი მიზნისათვის ჩემს პირად ცხოვრებას, ჩემს „მესუკან ვაყენებდი, საზოგადო სამსახურს — მაღლა.

ჩემთვის სულ ერთი იყო სცენის რომელ კატეგორიაში ვიმუშავებდი. მე ხან აკტიორის მხრით ვმუშაობდი, ხან სცენარიუსისა და გარდერობის მოსამსახურობასაც არ ვთაკილობდი.

1911 წელს აქიდანაც დამითხოვეს, რომლის მიზეზიც დღემდისაც ვერ გავიგე.

ჩემთვის სულ ერთი იყო ქალ. ქუთაისში თუ დაბებში ვიმუშავებდი, და ხშირად, ძალიან ხშირად, სოფლებში ვმართავდი ჩემის რეჟისორობით წარმოდგენებს საქველმოქმედო მიზნით.

სხვა კიდევ ბევრი რამ მეთქმის, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის, დიახ — ჩემი მიზნის მისაღწევად არა სასიამოვნო რამ გამომივლია, მაგრამ შავი ჩემი წარსულისა 13 მარტიდან დაითრგუნა.

13 მარტს საზოგადოებამ, ხალხმა, დამანახა, მაგრძნობია, რომ მე უმნიშვნელოდ არ მივლია 18 წელიწადი ჩემს ეკლიან გზაზე მე დამიმსახურებია ხალხის სიმპატია. ძნელი წარმოსადგენია ის სულიერი კმაყოფილება და სიმშვიდე, რომელსაც ახლა მე განვიცდი.

მიხარიან, კმაყოფილი ვარ ჩემი შავი წარსული ცხოვრებისა:

საზოგადოებამ დამაფასა იმდენად, რამდენად შესაძლებელია და ღირსიც არა ვარ.

ამიტომ მადლობას ვუცხადებ, როგორც ადგილობრივ ქუთაისის საზოგადოებას, ჩემს სასარგებლოდ ბილეთების ყიდვისათვის, რითაც შეაჩერეს ჩემი მატერიალური დაცემა, ისე დრამატიულ გამგეობას თეატრის უფასოთ დათმობისათვის. აგრეთვე უღრმეს მადლობას ვსწირავ ქუთაისის ქართულ თეატრის დრ. დასის ამხანაგობას, რომლებმაც უსასყიდლოთ ითამაშეს ჩემს სასარგებლოთ:

**გრიგოლ ჩარკვიანი.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

გ ა მ ო ვ ი დ ა და ი ყ ი დ ე ბ ა
**ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში**
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფ ა ს ი 60 კ ა პ. წ.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის
**„ძმათა პასხალიდის“**
**აბრეშუმის თესლი**
უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში
ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;
**ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში და ახალსენაკში **ილია იაკიმიდის** მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.
თ. 69.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники“ — ფ. 10 კ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.